ხელშეკრულება N177
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
(გამარტივებული შესყიდვა)
CPV (79900000)

ქ. თბილისი **13 დეკემბერი 2019 წელი**

ა(ა)იპ „თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტო“, (შემდგომში „შემსყიდველად“), წარმოდგენილი დირექტორის კახაბერ გვანცელაძის სახით, და შპს ,,ეიბისი ლენდი'', წარმოდგენილი მისი დირექტორის წარმომადგენლის გიორგი რაზმაძის სახით, (შემდგომში „მიმწოდებლად“), მოქმედი საქართველოს კანონმდებლობისა და ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ,,ს[1]" ქვეპუნქტის საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

მუხლი 1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ (შემდგომში _,,ხელშეკრულება“) _ შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 ,,ხელშეკრულების ღირებულება“ _ საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.
1.3 ,,დღე“, ,,კვირა“, ,,თვე“ _ კალენდარული დღე, კვირა, თვე.
1.4 ,,შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
1.5 ,,მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.
1.6 ,,მომსახურების" _ წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგანი

2.1 წინამდებარე ხელშეკრულების საგანია შემსყიდველის მიერ მიმწოდებლისაგან ხელშეკრულების ღირებულების ფარგლებში (CPV 79900000 - სხვადასხვა კომერციული მომსახურება და მასთან დაკავშირებული მომსახურებები); მომსახურების შესყიდვა, დანართი N1-ის შესაბამისად.

მუხლი 3. ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 4900 (ოთხი ათას ცხრაასი) ლარს დღგ-ს ჩათვლით.
3.2 მხარეთა შეთანხმებით დასაშვებია ხელშეკრულების საერთო ღირებულების შეცვლა.
3.3 ხელშეკრულების ღირებულების პარამეტრების (ერთეულის ფასის) შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

3.4 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობის გაზრდა.
3.5 ხელშეკრულების ღირებულების შეცვლა ფორმდება მხარეთა წერილობითი შეთანხმების სახით.

მუხლი 4. მხარეთა ვალდებულებები

4.1 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევა დანართი N1-ის შესაბამისად.

ბ) განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ნებისმიერ სადაო საკითხებზე;
გ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

4.2 შემსყიდველი ვალდებულია:
ბ) გადაიხადოს ხელშეკრულების ღირებულება.
გ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

მუხლი 5. საქონლის ხარისხი და მომსახურების გაწევის თარიღი

5.1 მომსახურების ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს არსებულ სფეროში დადგენილ სტანდარტებს და დანართი N1-ში აღნიშნულ ჩამონათვალს.
5.2 მომსახურების გაწევის ვადაა 2019 წლის 16 და 17 დეკემბერი.

მუხლი 6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი (ინსპექტირება)

6.1 შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების შესრულების კონტროლი განხორციელდება ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შემსყიდველის მოთხოვნათა შესაბამისად.
6.2 შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენელი (წარმომადგენლები, მოწვეული ექსპერტი) უფლებამოსილია ჩაატაროს ხარისხის კონტროლი და თუ აღმოჩნდება წუნდებული მომსახურება, მიმწოდებელი ვალდებულია წერილობითი შეტყობინებიდან 2 (ორი) დღეში გამოასწოროს წუნი ან თუ წუნის გამოსწორება შეუძლებელია და შემსყიდველს უკვე გადახდილი აქვს მომსახურების ღირებულება დაუბრუნოს შემსყიდველს აღნიშნული საქონლის ღირებულება.

მუხლი 7. მომსახურების მიღება_ჩაბარების წესი

7.1 მომსახურების მიღება დასტურდება შემსყიდველს და მიმწოდებელს შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით.
7.2 შემსყიდველი უფლებამოსილია განაცხადოს უარი დაგვიანებულ ან უხარისხო მომსახურების მიღებაზე. ასეთ შემთხვევაში შემსყიდველი თავისუფლდება ხელშეკრულების ღირებულების გადახდის ვალდებულებისაგან.

7.3 მომსახურეობის მიღებას აწარმოებს ა(ა)იპ „თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს“, თანამშრომელი.

მუხლი 8. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

8.1 ანგარიშსწორება მოხდება წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად, ეტაპობრივად ფაქტიურად მიღებული მომსახურების, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 3 სამუშაო დღის ვადაში, წარმოდგენილი ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე. თუ კი ანგარიშსწორების განხორციელების ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, ანგარიშსწორება განხორციელდება მომდევნო სამუშაო დღეს.

8.2 ანგარიშსწორების ვალუტა _ ლარი

8.3 ანგარიშსწორების ფორმა _ უნაღდო.

8.4 ხელშეკრულების ღირებულების შეცვლა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

მუხლი 9. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

9.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

9.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-11 მუხლის შესაბამისად.

მუხლი 10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

10.1 წინამდებარე ხელშეკრულების 4.1 პუქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული პირობების დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო შესაბამისად ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების **0.07%**-ის ოდენობით.

10.2 იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელზე დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10 (ათი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

10.3 წინამდებარე ხელშეკრულების 8.1 პუნქტით განსაზღვრული ვადების გადაცილების შემთხვევაში შემსყიდველის ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების **0.07%**-ის ოდენობით.

10.4 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

მუხლი 11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს

რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

11.2 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება (მათ შორის მხარეთა შეთანხმებით ხელშეკრულების შეწყვეტა) უნდა გაფორმდეს წერილობით - მხარეთა შეთანხმების სახით და დანართის სახით უნდა დაერთოს ხელშეკრულებას. მხარეთა წერილობითი შეთანხმება ცვლილების თაობაზე, ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

მუხლი 12. დავების გადაწყვეტა

12.1 ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკების გზით.

12.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის შესაბამისად მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

მუხლი 13. ხელშეკრულების შეწყვეტა

13.1 შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

13.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.3 ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

მუხლი 14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა.

14.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2020 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

მუხლი 15. ფორს-მაჟორი

15.1 წინამდებარე ხელშეკრულებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული მიმწოდებელისა და/ან შემსყიდველის შეცდომებსა და დაუდევრობასთან. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

15.2 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

15.3 ფორს-მაჟორული სიტუაციის 10 დღეზე მეტი ხნით გაგრძელების შემთხვევაში მხარეები უფლებამოსილნი არიან ცალმხრივად შეწყვიტონ ხელშეკრულება, რაც დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს მეორე მხარეს.

მუხლი 16. საერთო პირობები

16.1 ხელშეკრულება შედგენილია 2 (ორი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, აქედან 1 (ერთი) ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, ხოლო 1 (ერთი) შემსყიდველს.

მუხლი 17. მხარეთა პასუხისმგებლობა

17.1 ერთ-ერთი მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის ან არასათანადო შესრულების შემთხვევაში, ბრალეული მხარე დაზარალებულ მხარეს აუნაზღაურებს დოკუმენტალურად დადასტურებულ მიყენებულ ზიანს, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

17.2 მიმწოდებელი პასუხს აგებს მისთვის დაკისრებული ვალდებულებების სათანადო შესრულებისათვის და ვალდებულია აანაზღაუროს მისი ქმედებით დამდგარი ყველა სახის ზიანი.

17.3 მიმწოდებლის მიერ მისი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არასათანადოდ შესრულების შემთხვევაში მას ეკისრება პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,07% ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

17.4 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს დამრღვევ მხარეს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისგან.

მუხლი 18. ინტერესთა კონფლიქტი

18.1 შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულებაზე ხელმომწერი პირი `სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად, წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით ადასტურებს, რომ მისი მონაწილეობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შესყიდვის პროცედურაში არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

მუხლი 19. მხარეთა რეკვიზიტები:

„შემსყიდველი":

ა(ა)იპ „თბილისის საბავშვო ბაგა–ბაღების მართვის სააგენტო"
მისამართი: ქ. თბილისი, მიცკევიჩის ქ. N29-29ა; მე-3 სართული;
საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა
ბ/კ TRESGE22
ა/ა GE24NB0330100200165022,
ს/კ 404905475
დირექტორი

_____ კახაბერ გვანცელაძე

„მიმწოდებელი":

შპს „ეიბისი ლენდ"

მისამართი: უნივერსიტეტის ქ. #8
საბანკო რეკვიზიტები: სს პროკრედიტ ბანკი
ბანკის კოდი: MIBGGE22
ბ/ა GE87PC0453600100003906
ს/კ 405076787

დირექტორის წარმომადგენელი

_____ გიორგი რაზმაძე

დანართი N1

N	აღწერილობა	რაოდენობა	ერთეულის ღირებულება დღგ-ს ჩათვლით	საერთო ღირებულება დღგ-ს ჩათვლით
1	1. ხაჭაპური კონვერტი; 2. პანკოში ამოვლებული ხორცის კროკეტი; 3. კარტოფილი ფრი; 4. ფერადი მაფინი; 5. სეზონური ხილის კომპოტი.	160	15	2400
2	გასართობი ღონისძიება, თეატრალიზებული შოუ-პროგრამა: 1.ორი კოსტიუმირებული წამყვანი; 2. გრინჩი; 3. მანათობელი სანტა კლაუსის პერფომანსი (საახალწლო გმირებთან ერთად); 4. კიკი ნიკი (ეიბისი ლენდის საავტორო თოჯინები); 5. თემატური დეკორაცია; 6. DJ სანტას დიკო-ფართი; 7. ნამვის ხეების მორთვა; 8. გუნდაობა; 9. თოვლის ბაბუის აწყობა; 10. თაფლაკვერა ნამცხვრის თმაში; 11. შეაგროვე ბატი-ბუტი; 12. საპნის ბუშტები; 13. ხელოვნური თოვლი; 14. კონფეტის წვიმა; 15. DJ მუსიკალური გაფორმება.	5	500	2500
	სულ:			4900

ვიზირებულია:

13 დეკემბერი 2019 წელი

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად ქვემოთ ჩამოთვლილი თითოეული პირი ხელის მოწერით ვადასტურებს, რომ შპს ,,ეიბისი ლენდი“ და მისი დირექტორის წარმომადგენლი გიორგი რაზმაძე ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით:

დავით კეკენაძე - ადმინისტრაციის უფროსი

დავით კერესელიძე - ფინანსური აღრიცხვისა და დაგეგმარების განყოფილების უფროსი

ირმა ჭანტურიძე - სახელმწიფო შესყიდვების განყოფილების უფროსი

გიორგი ქიმერიძე - ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების განყოფილების მთავარი სპეციალისტი (იურისტი)

თათია მარგველაშვილი - შემსრულებელი - სახელმწიფო შესყიდვების განყოფილების მთავარი სპეციალისტი

ა(ა)იპ თბილისის საბავშვო ბაგა–ბაღების მართვის სააგენტო
N(N)LP TBILISI'S KINDERGARTEN MANAGEMENT AGENCY

წერილის ნომერი:66-01193401891
თარიღი: 06/12/2019

ადრესატი:

კახაბერი გვანცელაძე
ა(ა)იპ თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტო-დირექტორი

ბატონო კახაბერ,

როგორც მოგეხსენებათ 2018 წელს საბავშვო ბაგა-ბაღების შეზღუდული შესაძლებლობის მქონე აღსაზრდელებისთვის ჩავატარეთ საახალწლო ღონისძიება, რეკომენდირებულად მიგვაჩნია, რომ განმეორდეს მსგავსი ღონისძიება ამ წელს. აქედან გამომდინარე მოვიკვლიეთ ისეთი გარემო და პროგრამა რომელიც იქნება ადაპტირებული შშმ ბავშვებისთვის და შევარჩიეთ შპს "ეიბისი ლენდი". ამასთან მოვიკვლიეთ ბაღებში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა რაოდენობა და ფორმა 50-ით არის 160 ბავშვი, რომელიც განაწილდება 5 ჯგუფად 16 და 17 დეკემბერს. თქვენი თანხმობის შემთხვევაში გთხოვთ დაავალოთ შესაბამის სამსახურს შესყიდვის პროცედურების განხორციელება.
იხილეთ თანდართული ინვოისი.

პატივისცემით

ქეთევან შარვაძე

ა(ა)იპ თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტო-ბაგა-ბაღების განვითარების განყოფილება-მთავარი სპეციალისტი (ბავშვთა კვება)

ქ.თბილისი, 0186, მიცკევიჩის ქ. 29/29ა ტელ.: (32) 2 37 82 43 ელ-ფოსტა: kids@tbilisi.gov.ge
Address: Tbilisi., 0186, Mitskevichi ave #29-29a tel.: (32) 2 37 82 43 E-mail: kids@tbilisi.gov.ge